ოქმი:**ო31.31212992**
თარიღი:**26/10/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე ბიუროს სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

26. 10. 2021 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა ბიუროს წევრებს, რომ საკრებულოს მორიგი სხდომა ნაცვლად მიმდინარე წლის 27 ოქტომბრისა, გაიმართოს 29 ოქტომბერს, პარასკევს, 11:00 საათზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ოქტომბერი, 11:00 საათი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული და დამეწყრული გზების, მდინარეების გასწორხაზოვნების სამუშაოების დაფინანსების მიზნით გამოიყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60000 ლარი, ასევე განხილული იქნა ა(აი)პ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილი და მიზანშეწოლილად ჩაითვალა გაეზარდოს დაფინანსება 150000 ლარით; მათ შორის საწვავის ფასთა სხვაობის დეფიციტის შევსების გამო 34000 ლარი, საბურავების შეძენისათვის 10000 ლარი და საქონელი და მომსახურების ხარჯი 106000 ლარი. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 210000 ლარით ზრდის ხარჯზე. საქართველოს მთავრობის N 1863 13/10/2021 წ. განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი 960000 ლარი განაწილებულია შემდეგი ობიექტების მიხედვით:

1. სოფ. ქვიანი, რუსთაველის ქუჩაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობა-225362 ლარი;

2. სოფ. მოედანი, თამაზ გუჯაბიძის ეზოსთან სახიდე გადასასვლელის მოწყობა-288810 ლარი;

3. სოფ. ბაღლეფი, ფანდისეულის უბანში ასასვლელ გზაზე ხიდის მოწყობა-380954 ლარი;

4. სოფ. გრიგოლეთი, სასტუმრო ლაშთანთან ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობა-საპროექტო ღირებულება 203340 ლარი და პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა-64874 ლარი.

ა(აი)პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე

დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში მიზანშეწონილია საქონელი და მომსახურეობის მუხლის 20000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინასსური აქტივების მუხლი (საჭიდაო ლეიბების შესაძენად) 20000 ლარით, ასევე შრომის ანაზღაურების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 3000 ლარით. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები გაიზარდოს 25574,74 ლარით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“,

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი